სურსათის ეროვნული სააგენტოს

2011 წლის სურსათის/ცხოველის საკვების სახელმწიფო კონტროლის, ბაზრის მონიტორინგისა და სურსათის უვნებლობის სფეროში გაწეული საქმიანობის ანგარიში

2012

სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელ საწარმოთა სახელმწიფო კონტროლი

სახელმწიფო კონტროლის წლიური პროგრამა

საქართველოს კანონის „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ", 36[1] მუხლის 1[1] პუნქტის ბ. ქვეპუნქტის თანახმად, 2011 წლის 3 იანვრიდან დაიწყო სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოების სახელმწიფო კონტროლის განხორციელება.

საქართველოს კანონის „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ" 30-ე მუხლის თანახმად, სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ შემუშავებული და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ დამტკიცებული იქნა 2011 წლის სურსათის მწარმოებელ საწარმოთა სახელმწიფო კონტროლის წლიური პროგრამა (17.01.2011 №2-4) რომელიც მოიცავს:

- პროგრამის ზოგად საფუძვლებს
- პროგრამის მიზანს
- იურიდიულ საფუძვლებს
- პროგრამის ამოცანებს
- პროგრამის განხორციელების უფლებამოსილებას
- სახელმწიფო კონტროლის მეთოდებს
- განრიგს
- კონფიდენციალობას, ანგარიშგებას
- მოსალოდნელ შედეგებს
- არსებული ინფორმაციის საფუძველზე რისკის კრიტერიუმების ანალიზს.

სახელმწიფო კონტროლის 2011 წლის პროგრამის შესაბამისად ინსპექტირება გეგმით მოიცავდა 200 საწარმოს. ინსპექტირება განხორციელდა სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელ 218 საწარმოში - 202 გეგმური, რომლებიც შერჩეული იქნა რისკის ანალიზის საფუძველზე და 16 არაგეგმიური.

შეივსო შესაბამისობის შეფასების აქტები. გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად ამ საწარმოებს მიეცათ შესაბამისი რეკომენდაციები და ამ რეკომენდაციების შესრულების გონივრული ვადები.

გეგმური ინსპექტირება

2011 წელს გეგმური ინსპექტირება ჩატარდა სურსათის მწარმოებელ 202 საწარმოში. ინსპექტირება განხორციელდა სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის და ცხოველის საკვების ინსპექტირების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი - ინსპექტორების მიერ, რომლებსაც სააგენტოს უფროსმა უფლებამოსილება მიანიჭა შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

პროფილის მიხედვით შემოწმებული იქნა:

- პირველადი წარმოება - 25, მ.შ.
    - თევზსაშენი მეურნეობა – 11

    - მეფრინველეობა – 12
    - მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმა - 2
- ხორცის და ხორცპროდუქტების გადამამუშავებელი საწარმო – 27
- სასაკლაო – 49
- თევზის და თევზპროდუქტების გადამამუშავებელი საწარმო – 6
- საკონსერვო წარმოება – 4
- რძის და რძის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმო – 31
- მარკეტი – 10
- საზოგადოებრივი კვების ობიექტი – 40
- საკონდიტრო წარმოება – 4
- აგრარული ბაზარი – 2
- ცხოველის საკვების წარმოება – 1
- მეფუტკრეობა – 1
- სადისტრიბუციო ქსელი – 2.

საერთო შემოწმებული საწარმოებიდან პროფილის მიხედვით შემოწმებული საწარმოების პროცენტული წილი:

- ხორცის და ხორცპროდუქტების გადამამუშავებელი საწარმო – 13,3%
- რძის და რძის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმო – 15,3%
- სასაკლაო – 24,2%
- თევზის და თევზპროდუქტების გადამამუშავებელი საწარმო – 3%
- თევზსაშენი მეურნეობა -5,4%
- მარკეტი – 5%
- მეფრინველეობა – 6%
- საკონსერვო წარმოება – 2%
- საზოგადოებრივი კვების ობიექტი – 20%
- საკონდიტრო წარმოება – 2%
- აგრარული ბაზარი – 1%
- სადისტრიბუციო ქსელი -1%
- მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმა -1%
- ცხოველის საკვების წარმოება - 0,4%
- მეფუტკრეობა -0,4%

ზემოაღნიშნულ ბიზნესოპერატორებზე გაცემულ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები და შეჩერებული იქნა საწარმოო პროცესები შეუსაბამობების აღმოფხვრამდე.

საწარმოებში ინსპექტირების დროს უფლებამოსილი მოხელეების მიერ აღმოჩენილი იქნა ჯამში 1,665 არაკრიტიკული შეუსაბამობა, რაზეც ბიზნესოპერატორებზე გაცემული იქნა შესაბამისი რეკომენდაციები და შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით მიეცათ გონივრული ვადები.

საწარმოებში გეგმური ინსპექტირების დროს უფლებამოსილი მოხელეების მიერ აღმოჩენილ იქნა 14 კრიტიკული შეუსაბამობა 2 საწარმოში, კერძოდ:

- ხორცის გადამამუშავებელი საწარმო (ნახევარფაბრიკატები);
- აგრარული ბაზარი.

თითოეულ ინსპექტირებულ საწარმოში საშუალოდ აღმოჩენილი იქნა 8 არაკრიტიკული შეუსაბამობა.

არაგეგმური ინსპექტირება

2011 წლის განმავლობაში არაგეგმური ინსპექტირება განხორციელდა სურსათის მწარმოებელ 16 საწარმოში.

პროფილის მიხედვით შემოწმებული იქნა:

- ხორცის და ხორცპროდუქტების გადამამუშავებელი საწარმო - 7
- რძის და რძის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმო – 4
- საცხობი – 1
- თევზის და თევზპროდუქტების გადამამუშავებელი საწარმო – 1
- საკონსერვო წარმოება – 1
- უალკოჰოლური სასმელების საწარმო – 1
- საზოგადოებრივი კვების ობიექტი – 1.

არაგეგმური ინსპექტირების დროს უფლებამოსილი მოხელეების მიერ აღმოჩენილ იქნა 20 კრიტიკული შეუსაბამობა 3 საწარმოში კერძოდ:

1. ხორცის გადამამუშავებელი საწარმო (ნახევარფაბრიკატები)
2. ხორცის გადამამუშავებელი საწარმო (ძეხვის წარმოება)
3. უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელი საწარმო (ლიმონათი).

ზემოაღნიშნულ ბიზნესოპერატორებზე გაცემულ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები და შეჩერებული იქნა საწარმოო პროცესები შეუსაბამობების აღმოფხვრამდე.

საწარმოებში არაგეგმური ინსპექტირების დროს უფლებამოსილი მოხელეების მიერ აღმოჩენილი იქნა ჯამში 166 არაკრიტიკული შეუსაბამობა, რაზეც ბიზნესოპერატორებზე გაცემული იქნა შესაბამისი რეკომენდაციები და შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით მიეცათ გონივრული ვადები.

მიცემული რეკომენდაციების გადამოწმება

2011 წლის განმავლობაში მიცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის გადამოწმება მოხდა 87 საწარმოში, მათ შორის:

- ალკოჰოლური სასმელების საწარმო - 15
- თხილის გადამამუშავებელი საწარმო - 1
- მწვანილის გადამამუშავებელი საწარმო - 1
- მეფრინველეობა - 8
- სასაკლო – 28
- საზოგადოებრივი კვების ობიექტი - 8
- თევზისა და თევზპროდუქტების წარმოება - 4
- ხორცისა და ხორცპროდუქტების წარმოება - 11
- რძე და რძის პროდუქტების წარმოება - 8
- საკონსერვო წარმოება - 1

- საკონდიტრო წარმოება - 1
- მარკეტი - 1.

2010 წელს ინსპექტირებული საწარმოებიდან 2011 წელს გადამოწმდა 21 საწარმო (41.2%), ხოლო 2011 წელს ინსპექტირებული საწარმოებიდან გადამოწმდა 66 საწარმო (32.7%).

აქედან 47-მა საწარმომ 100% -ით შეასრულა მიცემული რეკომენდაციები. 34 საწარმოში დაფიქსირდა მიცემული რეკომენდაციების შესრულება 65,5%-ით, ხოლო 6 საწარმოში 0%-ით.

40 ბიზნესოპერატორს გაუგრძელდა რეკომენდაციების შესრულების ვადა.

სასურსათო პროდუქტების (მ.შ სასმელი წყლის) ლაბორატორიული კვლევა

პროგრამის ფარგლებში, მონიტორინგი განხორციელდა სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს 10 რეგიონალური სამმართველოს, კერძოდ: თბილისის სამმართველოს, კახეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის, გურიის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და აჭარის რეგიონალური სამმართველოების მიერ.

აღებული და ლაბორატორიებში ჩაბარებული იქნა სურსათის (მ.შ. სასმელი წყლის) **516 ნიმუში/სინჯი :**

- 130 - ცხოველური წარმოშობის სურსათი
- 140 - მცენარეული წარმოშობის სურსათი
- 94 - სასმელი წყალი და უალკოჰოლო სასმელები
- 54 - ალკოჰოლური სასმელი
- 14 - ბავშვთა (მათ შორის ჩვილ ბავშვთა) კვების პროდუქტი, მისი კონსერვები
- 84 - მზა კერძები და კულინარული ნაწარმი.

სურსათის (მ.შ სასმელი წყლის) ნიმუშების/სინჯების უვნებლობისა და ხარისხის (მ.შ. ფალსიფიკაციის) პარამეტრებზე ლაბორატორიული კვლევის შედეგების მიხედვით 114 ნიმუში არ აკმაყოფილებდა დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ:

- ცხოველური წარმოშობის სურსათი – 34
- მცენარეული წარმოშობის სურსათი – 5
- სასმელი წყალი და უალკოჰოლო სასმელები – 35
- ალკოჰოლური სასმელები – 20
- მზა კერძები და კულინარული ნაწარმი – 19
- ბავშვთა (მათ შორის ჩვილ ბავშვთა) კვების პროდუქტები - 1 (ეტიკეტის დარღვევა).

გატარებული ღონისძიებები:

- 13 შემთხვევაში განხორციელდა არაგეგმიური ინსპექტირება და ბიზნეს ოპერატორს მიეცა რეკომენდაციები;
- 3 შემთხვევაში ბიზნესოპერატორს შეუჩერდა საწარმოო პროცესი, მიეცა რეკომენდაციები;
- 4 შემთხვევაში ეცნობა ბიზნესოპერატორს - სანიტარიული დღის ჩატარების აუცილებლობისა და პერსონალის სწავლებებთან დაკავშირებით;
- 69 შემთხვევაში შედეგების თაობაზე ეცნობა ბიზნესოპერატორს;
- 5 შემთხვევაში შედგენილი იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 254/3 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე (ეტიკეტის დარღვევა);
- 17 შემთხვევაში ეცნობა საცალო ვაჭრობის პუნქტს, სურსათის რეალიზაციიდან ამოღების თაობაზე;

- 3 საქმე გადაეცა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს;
- სასმელი წყლის ხარისხის „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტი"-თან შეუსაბამობის შემთხვევებში (გამოკვლეული იქნა 86 სასმელი წყლის სინჯი, დარღვევა გამოვლინდა 29 სინჯში) შესაბამის უწყებებში გაგზავნილი იქნა სარეკომენდაციო წერილები.

მცენარეული წარმოშობის პროდუქტებში პესტიციდების ნარჩენების ლაბორატორიული კვლევა

2011 წელს სურსათში პესტიციდების განსაზღვრის მიზნით საცალო ვაჭრობის პუნქტებიდან აღებული ხილისა და ბოსტნეულის 56 ნიმუშზე ჩატარდა თვისობრივი ანალიზი, ხოლო შემდგომ - 56 ნიმუშიდან 35-ზე რაოდენობრივი ანალიზი

დარღვევა დაფიქსირდა 9 ნიმუშში, კერძოდ :

- 2 ნიმუშში დაფიქსირდა პესტიციდების მაქსიმალურად დასაშვებ დონეზე მეტი რაოდენობა, ხოლო
- 7 ნიმუშში დაფიქსირდა პესტიციდები, რომლის გამოყენებაც საქართველოში აღნიშნულ კულტურებში არ არის დაშვებული.

სურსათის უვნებლობის სფეროში გაწეული სხვა საქმიანობა

სააგენტოს მიერ 2011 წლის განმვალობაში გაცემული იქნა 261 სურსათისა და სურსათთან დაკავშირებული ტარის ჰიგიენური სერტიფიკატი.

2011 წელს სულ გაცემული იქნა 204 ვეტერინარული სერტიფიკატი საქართველოდან ექსპორტირებულ სურსათზე:

- ხორცი და ხორცპროდუქტები – 3
- რძე და რძის პროდუქტები – 29
- თევზი და ზღვის პროდუქტები – 162
- სასურსათო ყვერცხი – 7
- თაფლი - 4.

საანგარიშო წლის განმავლობაში სხვადასხვა დასახელების სურსათის ორგანოლეპტიკური შეფასების, ლაბორატორიული გამოცდის ოქმისა და რეალიზაციის ვადის გასვლის საფუძველზე გამოცემული იქნა 140 ბრძანება სურსათის/ცხოველის საკვების განადგურების თაობაზე.

განადგურების მიზეზს ძირითადად არადამაკმაყოფილებელი ორგანოლეპტიკური მდგომარეობა და სურსათის რეალიზაციის ვადის გასვლა წარმოადგენდა. საანგარიშო პერიოდში სულ განადგურებული იქნა 34,895.4 კგ. და 150,269.8 ლ. სხვადასხვა დასახელების სურსათი.

სააგენტოს მიერ გამოვლენილი სხვადასხვა ხასიათის დარღვევების გამო საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად დაჯარიმებული იქნა 48 ბიზნესოპერატორი მათ შორის:

- 6 ბიზნესოპერატორი - სურსათის ეტიკეტირების წესის დარღვევის გამო - 154[3]-ე მუხლით;
- 36 ბიზნესოპერატორი - ცხოველთა საკარანტინო და ვეტერინარულ-სანიტარიული წესების დარღვევის გამო - 102-ე მუხლით;
- 2 ბიზნესოპერატორი - საქმიანობა სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელ საწარმოდ ან/და დისტრიბუტორად რეგისტრაციის გარეშე - 102[1] მუხლით;
- 4 ბიზნესოპერატორი - სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს ან/და დისტრიბუტორის მიერ არაკრიტიკული შეუსაბამობების დროს რეკომენდაციების შეუსრულებლობის გამო - 102[2] მუხლით.

2011 წელს ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა დაცვის გენერალური დირექტორატის **(DG SANCO)** ევროპის კომისიის **RASFF**-ის სწრაფი საგანგაშო შეტყობინების სისტემით მიღებული იქნა 17 ნოტიფიკაცია, რომლებზედაც სააგენტოს მიერ განხორციელდა შესაბამისი რეაგირება.